ოქმი №21

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე

სხდომისა

აბაშა, 2022 წლის 16 სექტემბერი

ოქმი №21

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე ბიუროს სხდომისა

აბაშა, 2022 წლის 16 სექტემბერი

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა გ. ხოშტარია.
სხდომას ესწრებოდნენ:
ბიუროს წევრები: ზ. მაკალათია, დ. გუნია, გ. მიგინეიშვილი, გ. კუცია და რ. კაჭარავა.
საკრებულოს აპარატის მეორე რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილე თ. შოთაძე და საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსი ნ. კუპრეიშვილი.

დღის წესრიგი:

1. „აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება, თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტის განხილვის დაწყების თაობაზე.

მომხს: გ.ხოშტარია

მომხსენებელმა გ. ხოშტარიამ ბიუროს წევრებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება, თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტი.
აზრი გამოთქვა: დ. ცანავამ.
აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო რეკომენდაცია:
საკითხი – აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება, თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტის განხილვა დაიწყოს
აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ (დ. ცანავა)
რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი: გ. ხოშტარია